მშრომელთა ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 279 (5380) | ხუთშაბათი, 8 დეკემბერი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთშია:

საუკეთესოდ მოვაწყოთ ტრაქტორების რემონტი (მე-2 გვ.)

სსრკ სახკომსაბჭოსა და სკკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში (1-ლი გვ.)

საყოველთაო-სახალხო დღესასწაული (1-ლი გვ.)

ტყვარჩელის მაღაროების სტახანოველების პასუხი დონბასელ მაღაროელებს (1-ლი გვ.)

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ყველა სტახანოველს, მუშებს, მუშა-ქალებს, ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკებს, მოსამსახურეებს. (მე-2 გვ.)

საქალაქო და რაიონული პარტაქტივის კრებები (მე-2 გვერდი)

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში (მე-3 გვერდი).

უცხოეთში:

საფრანგეთ - გერმანიის დეკლარაცია (მე-3 გვ.)

ესპანეთის ფრონტებზე (მე-3 გვ.)

ლიტვის ახალი მთავრობა (მე-4 გვ.).

ცენტრალური ბიბლიოთეკა

საუკეთესოდ მოვაწყოთ ტრაქტორების რემონტი

ორდენოსანი საქართველოს კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი წარმატებით ამთავრებენ მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო წელს. საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წელს კარგი მოსავალი მიიღეს. მაგრამ 1939 წელს კიდევ უფრო მეტი მუშაობა მოგველის. მაღალი მოსავალი სოციალისტური მინდვრების ურყევი კანონი უნდა გახდეს. 1939 წელს უნდა მოვიპოვოთ ახალ-ახალი წარმატებანი. საამისოდ ყველა პირობა გვაქვს. საქართველოს სოფლის მეურნეობა შეიარაღებულია პირველხარისხოვანი იარაღ-მანქანებით. საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დონე ყოველწლიურად თვალსაჩინოდ იზრდება.

საქართველოს მანქანა-ტრაქტორების პარკმა 1939 წელს დიდი მუშაობა უნდა გასწიოს. ჩვენს წინაშე დგას ამოცანა სანიმუშოდ მოვემზადოთ სავაზაფხულო თესვისათვის. ხოლო თესვისათვის მზადებაში ერთერთ მნიშვნელოვან და პასუხსაგებ ეტაპს ტრაქტორების საშუამოდგომო-საზამთრო რემონტი წარმოადგენს.

საქართველოს სსრ მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ხაზით კაპიტალურად უნდა შეკეთდეს 569 ტრაქტორი და მიმდინარე რემონტი გაიაროს მოტორის სრული დაშლით 1.038 ტრაქტორმა. გარდა ამისა, მოტორების ნაწილობრივი დაშლით მიმდინარე რემონტი უნდა გაუკეთდეს 632 ტრაქტორს.

ჩვენს ხელთ არსებული მასალები მოწმობენ, რომ ზოგიერთ მტს-ში აჭიანურებენ ტრაქტორების რემონტს.

დუშეთის, სადახლოს, წეროვნისა და თიანეთის მტს-ებში დღემდე არ არის მოწყობილი სარემონტო სახელოსნოები. ტრაქტორისტები და რემონტზე მომუშავე სხვა კადრები უზრუნველყოფილი არ არიან საჭირო საყოფაცხოვრებო პირობებით. ამ მტს-ების სარემონტო სახელოსნოებში ჯერ კიდევ არ არის დამყარებული ბოლშევიკური წესრიგი. საქმიწსახკომმა და ზემოხსენებული მტს-ების დირექტორებმა, ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა შექმნილი მდგომარეობიდან ამთავითვე უნდა გააკეთონ ყველა საჭირო დასკვნა.

საქართველოს მიწსახკომმა, კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატმა და საბჭოთა მეურნეობების გაერთიანებებმა უნდა დააწესონ თვითეული მტს-ისა და საბჭოთა მეურნეობისათვის რემონტიდან ტრაქტორის გამოშვების გრაფიკი. ტრაქტორების მარკებისა და შეკეთების სახის მიხედვით, აგრეთვე დააწესონ სასტიკი კონტროლი ტრაქტორების შეკეთების ხარისხზე, და ტრაქტორების ცუდი ხარისხით შეკეთებაში დამნაშავეები პასუხისგებაში მისცენ.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ დაავალა აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების სახკომსაბჭოების თავმჯდომარეებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცაკის თავმჯდომარეს, რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს და ყველა მტს-ისა და საბჭოთა მეურნეობის დირექტორებს შეადგინონ ტრაქტორების შეკეთების კალენდარული გეგმები თვითეული შეკეთებული ბრიგადისა და მთლიანად მტს-ების მიხედვით, სისტემატურად გაუწიონ კონტროლი ტრაქტორების რემონტის ხარისხს. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს ეს მითითება განუხრელად უნდა განვახორციელოთ.

ტრაქტორის რემონტზე მომუშავეებს უნდა შევუქმნათ აუცილებელი საწარმოო და საყოფაცხოვრებო პირობები, სწორად მოვაწესრიგოთ შრომა მანქანა-ტრაქტორების სახელოსნოებში და ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება რემონტის დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის.

„კომუნისტის“ ა. წ. 18 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და მტს-ების მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის დადგენილება „საშემოდგომო-საზამთრო რემონტზე სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ადგილებზე მოვახდინოთ ამ დადგენილების პოპულარიზაცია. იგი უნდა გავაცნოთ მანქანა - ტრაქტორების სარემონტო სახელოსნოების მუშაკებს. მტს-ებმა და მანქანა-ტრაქტორების სახელოსნოებმა უნდა ებრძოლონ იმისათვის, რათა მოიპოვონ წითელი დროშა, — ჯილდო, რომელიც დაწესებულია სოცშეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის.

პარტია და მთავრობა ყველა ზომას იღებენ იმისათვის, რომ ტრაქტორების რემონტი სანიმუშოდ ჩავატაროთ. სამიწათმოქმედო ორგანოები და მტს-ები ტრაქტორების რემონტს ამთავითვე მთელი პასუხისმგებლობით უნდა მოეპყრან, არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან რემონტის გაჭიანურება — და ტრაქტორების ცუდად შეკეთება.

შემჩნეულია, რომ ზოგიერთი მტს-ის ხელმძღვანელი, ცენტრის მოლოდინშია და არ იღებს ზომებს ტრაქტორების რემონტის საქმეში ადგილობრივი რესურსების გამოსაყენებლად. ეს არაჯანსაღი მიდგომაა რემონტის საქმისადმი.

ტრაქტორების საშემოდგომო-საზამთრო რემონტის საქმეში ფართოდ უნდა დავნერგოთ მანქანა-ტრაქტორების მოწინავე სახელოსნოთა გამოცდილება, ცნობილია, რომ შარშან ბორჩალოს, წითელწყაროს და თელავის მანქანა-ტრაქტორების სახელოსნოებში მტკიცედ იყო დანერგული ზოგიერთი სათადარიგო ნაწილის აღდგენის პრაქტიკა, რამაც საუცხოო შედეგი გამოიღო. ბორჩალოს მტს-ში წელსაც ფართოდ იყენებენ ამ წესს. მაგალითად, აქ აღადგინეს სიჩქარის კოლოფის შუა ღერძები. შემოწმებამ ცხადჰყო, რომ ღერძები კარგი ხარისხისაა. მტს-ების და რაიმოწყობების ხელმძღვანელთა გადაუდებელი ამოცანაა მანქანა-ტრაქტორების მოწინავე სახელოსნოთა ეს საუცხოო გამოცდილება ტრაქტორის ზოგიერთი სათადარიგო ნაწილის აღდგენის საქმეში ხელმისაწვდომი გახადოს მანქანა-ტრაქტორების სახელოსნოთა ყველა მუშაკისათვის.

დიდი ამოცანები დგას აგრეთვე საქ. სოფლმმართველოსა და ავტომატრაქტორო მრეწველობის მთავარ სამმართველოს საქართველოს განყოფილების წინაშე, მათ ყველა ზომა უნდა მიიღონ მტს-ების საჭირო მასალითა და სათადარიგო ნაწილებით შეუფერხებლივ მომარაგებისათვის.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ გააფრთხილა აფხაზეთისა და აჭარის სახკომსაბჭოების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცაკის თავმჯდომარეები და რაიაღმასკომის თავმჯდომარეები, რომ ისინი მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებთან ერთად პასუხისმგებელი იქნებიან მანქანა-ტრაქტორების პარკის შეკეთების მიმდინარეობისათვის. საქართველოს სახკომსაბჭოს ამ გაფრთხილებიდან ამთავითვე უნდა გავაკეთოთ ყველა საჭირო დასკვნა.

მიწათმოქმედების ხელმძღვანელ მუშაკთა საკავშირო თათბირზე 1938 წლის 21 თებერვალს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **ვ. მ. მოლოტოვმა** განაცხადა: „ახლა ჩვენ შეგვიძლია დიდი შრომის დაუხარჯავად უზრუნველვყოთ უკეთესი პირობები მტს-ების მთელი მუშაობისა და სამანქანო-სატრაქტორო სახელოსნოებში რემონტის ორგანიზაციისათვის. საჭიროა მხოლოდ ხელი მოვკიდოთ ამ სამუშაოს როგორც რიგი და წესია“.

ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის ეს მითითება ბოლშევიკური შეუპოვრობით უნდა განვახორციელოთ.

მანქანა - ტრაქტორთა პარკის რემონტი პასუხსაგებ პერიოდში შედის. ყველა ზომა უნდა მივიღოთ ტრაქტორების რემონტის ტემპების გაძლიერებისათვის და მთელი მუშაობა იმგვარად წარვმართოთ, რომ საშემოდგომო - საზამთრო რემონტი დავამთავროთ დაწესებულ ვადაზე და მაღალხარისხოვნად.

სსრკ სახკომსაბჭოსა და სკკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

კოლმეურნეობებში ფულადი შემოსავლის განაწილების შესახებ

ადგილობრივი ორგანოებისა და კოლმეურნეობებისაგან შემოსულ შეკითხვებთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ და სკკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და სკკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 19 აპრილის დადგენილების შესაცვლელად, **დაადგინეს:**

დამტკიცდეს სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების მუხლი 12 შემდეგი სახით:

„12. ფულადი შემოსავლიდან, რომელსაც არტელი ღებულობს, არტელი:

ა) პირველ რიგში უხდის სახელმწიფოს კანონით დაწესებულ გადასახადებს, ისტუმრებს სადაზღვევო გადასახდელებს და უბრუნებს ფულადს სესხებს;

ბ) ეწევა აუცილებელ ხარჯებს მიმდინარე საწარმოო საჭიროებათათვის, როგორიცაა: სასოფლო-სამეურნეო იარაღების მიმდინარე რემონტი, პირუტყვის მკურნალობა, მავნებლებთან ბრძოლა და ა. შ.;

გ) ჰფარავს არტელის ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯებს, გამოჰყოფს რა ამისთვის ფულადი შემოსავლის არაუმეტეს 2 პროცენტისა;

დ) გამოჰყოფს სახსრებს კულტურულ საჭიროებათათვის, როგორიცაა: საკოლმეურნეო კადრების მომზადება, ბავშვების, საბავშვო ბოედნების ორგანიზაცია, რადიოს მოწყობა და ა. შ.;

ე) შეავსებს არტელის განუყოფელ ფონდს, რათა გასწიოს ხარჯები სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა და პირუტყვის საყიდლად, სამშენებლო მასალის შესაძენად, იმ მუშებისათვის ანგარიშის გასასწორებლად, რომლებიც გარედან არიან მოწვეულნი მშენებლობაზე სამუშაოდ.

გადარიცხვა განუყოფელი ფონდების შესავსებად ხდება მარცვლეულის რაიონებში არტელის ფულადი შემოსავლის არანაკლებ 12, მაგრამ არაუმეტეს 15 პროცენტის რაოდენობით, ტექნიკური კულტურებისა და მეცხოველეობის რაიონებში — არანაკლებ 15, მაგრამ არაუმეტეს 20 პროცენტის რაოდენობით;

ვ) არტელის ფულადი შემოსავლის მთელ დარჩენილ თანხას არტელი ანაწილებს არტელის წევრებს შორის შრომადღეების მიხედვით.

ყველა შემოსავალი აუცილებლად უნდა ჩაიწეროს არტელის შემოსავლის დავთარში არაუგვიანეს მათი შემოსვლის დღისა.

როგორც შემოსავალზე, ისე სახსრების ხარჯვაზე არტელის გამგეობა ადგენს წლიურ ხარჯთაღრიცხვას, რომელიც ძალაში შედის მხოლოდ არტელის წევრთა საერთო კრების მიერ დამტკიცების შემდეგ.

სახსრების ხარჯვა გამგეობას შეუძლია აწარმოოს მხოლოდ იმ მუხლების მიხედვით, რომლებიც გათვალისწინებულია ხარჯთაღრიცხვის, — გამგეობის მიერ სახსრების თვითნებურად გადატანა საგასავლო ხარჯთაღრიცხვის ერთი მუხლიდან მეორეში დაუშვებელია, და სახსრების ერთი მუხლიდან მეორეში გადასატანად გამგეობა მოვალეა ნებართვა მიიღოს საერთო კრებისაგან.

კოლმეურნეობის საწარმოო საჭიროებათათვის კოლმეურნეთა საერთო კრების მიერ დამტკიცებული წლიური საგასავლო ხარჯთაღრიცხვიდან გამგეობას, ვიდრე საბოლოოდ გამოირკვეოდეს, თუ რა პირი უჩანს მოსავალს, შეუძლია დახარჯოს ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ხარჯების არაუმეტეს 70 პროცენტისა. დანარჩენი 30 პროცენტი რეზერვში რჩება და იხარჯება მხოლოდ მას შემდეგ, რაც საბოლოოდ გამოირკვევა, თუ რა პირი უჩანს მოსავალს, და კოლმეურნეთა საერთო კრების გადაწყვეტილების შემდეგ.

თავის თავისუფალ ფულადს სახსრებს არტელი ინახავს თავის მიმდინარე ანგარიშზე ბანკში, ან შემნახველო სალაროში. მიმდინარე ანგარიშიდან ჩამოწერა ხდება მხოლოდ არტელის გამგეობის ბრძანებით, რომელსაც ძალა აქვს, თუ მას ხელს აწერენ არტელის თავმჯდომარე და მოანგარიშე“.

საყოველთაო-სახალხო დღესასწაული

ზეიმით, მხიარულად და უდიდესი აღტყინებით გაატარეს საბჭოთა კავშირის მშრომელებმა საყოველთაო-სახალხო დღესასწაული—სტალინური კონსტიტუციის მიღების დღე. ზეიმი გადაიქცა საბჭოთა ხელისუფლებისადმი, ბოლშევიკური პარტიისადმი, ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორისა და სულისჩამდგმელის, მსოფლიოში ყველაზე უფრო დემოკრატიული კონსტიტუციის შემქმნელის — დიდი სტალინისადმი სსრ კავშირის ხალხთა ერთგულებისა და სიყვარულის ახალ მძლავრ დემონსტრაციად.

მოსკოვი. დედაქალაქის ფართო მოედნებმა სახე იცვალეს. აქ შეიქმნა იმპროვიზირებული ესტრადები, გაჩნდნენ მძრავი რადიოგადამცემები, სატვირთო მანქანები სასულე ორკესტრებით. მხიარული, მომღერალი და მოცეკვავე ხალხით გაიჭედა დედაქალაქის მოედნები და პარკები. ქარხნებში ჩატარდა საზეიმო საღამოები, ბალები.

ნაშუადამევამდე მხიარულობდა სადღესასწაულოდ მორთული დედაქალაქი. სეირნობა და მხიარულობა არც 6 დეკემბერს შეწყვეტილა.

კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში 5 დეკემბერს გამართულ სახალხო სეირნობას დაახლოებით 100 ათასი კაცი დაესწრო. დღესასწაულის აღსანიშნავად გაიმართა დიდი სასპორტო შეჯიბრებანი, მოტოკროსი მოსკოვის პირველობაზე.

ლენინგრადი. კულტურის სახლებსა და კლუბებში გაიმართა საყოველთაო სახალხო დღესასწაულისადმი მიძღვნილი საღამოები. ათასობით ლენინგრადელი მონაწილეობას იღებდა სადღესასწაულო ბალ-კარნავალებში, სეირნობაში.

ყველა რაიონში გაიმართა სადღესასწაულო ბალები. გრანდიოზული საერთო-საქალაქო ბალ-კარნავალი ჩატარდა ს. მ. კიროვის სახელობის კულტურის სასახლეში.

საინტერესოდ და მხიარულად ჩაიარა სტალინური კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილმა სეირნობამ და ბალებმა სარეწაო პარტიკომის კულტურის სახლში, გაზის სახელობის კლუბში და სხვ.

კიევი, 5 დეკემბერს დილიდან კლუბებში, კულტურის სახლებში, სკოლებში გაიმართა საბავშვო დილები. საღამოს ანთებულ იქნა სადღესასწაულო ილუმინაცია.

ქალაქის ყველა კუთხიდან დაიძრნენ კიეველები კრემშატკისაკენ, სადაც გრანდიოზული სახალხო სეირნობა იყო მოწყობილი. სეირნობა გაიმართა ავრეთვე რაიონულ პარკებში, სადაც მრავალი ხალხი დაესწრო.

ქალაქის ყველა კლუბში ჩატარდა საზეიმო საღამოები, კონცერტები. კინო - თეატრებში უჩვენებდნენ ფილმს „ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენება სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ საბჭოების სრულიად - საკავშირო საგანგებო VIII ყრილობაზე“. თეატრებში დაიდგა საბჭოთა დრამატურგების და კომპოზიტორების საუკეთესო ნაწარმოებები.

ერევანი. „დინამოს“ სტადიონზე შესდგა საერთო-საქალაქო მიტინგი, მიძღვნილი სტალინური კონსტიტუციის დღისადმი. მიტინგს დაესწრო 20 ათასზე მეტი კაცი.

საღამოს ლენინის სახელობის მოედანზე გაიმართა მასობრივი სახალხო სეირნობა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 40 ათასმა კაცმა.

ვლადივოსტოკი. ვლადივოსტოკში შესდგა სტალინური კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილი საქალაქო საბჭოს საზეიმო პლენუმი საბრძოლველად.

საბჭოების საზეიმო პლენუმები შესდგა აგრეთვე ვორონეჟში, სპასკში, სუჩანში და არტემში.

არტემის მაღაროელებმა საყოველთაო-სახალხო დღესასწაული ალსანიშნავად გამართეს მასობრივი ლაშქრობა აირწინაღებით არტემსუჩანის მარშრუტით.

ბაქო, სტალინური კონსტიტუციის მეორე წლისთავის აღსანიშნავად ქალაქი, სარეწაოები და ქარხნები მორთულია ალისფერი დროშებით, ტრანსპარანტებითა და ლოზუნგებით. 5 დეკემბერს დილიდან 5 ღამემდე კულტურის სასახლეებში, კლუბებსა და სკოლებში არ შეწყვეტილა მხიარულება, მუსიკა და ცეკვა. ყველგან გაიმართა საუბრები სსრ კავშირის კონსტიტუციის შესახებ.

დონის-როსტოვი. ქალაქებისა და სტანიცების ქუჩებზე გაცხოველებული მოძრაობაა. სადღესასწაულო ტანსაცმელში გამოწყობილი მშრომელები სტალინური კონსტიტუციის მეორე წლისთავისადმი მიძღვნილ მიტინგებზე მიდიოდნენ.

სტანიცა ნიკოლაევსკაიაში მიტინგს ათასზე მეტი კაცი დაესწრო. აქ დღესასწაულზე მოვიდნენ რაიონის საუკეთესო ადამიანები. მიტინგის შემდეგ გაიმართა ღონე, ჯერითი, ყუმბარმტყორცნელთა და მსროლელთა შეჯიბრება.

სტანიცა ბოგაევსკაიაში დღესასწაულზე მონაწილეობის მისაღებად თავი მოიყარა 300-ზე მეტმა მომღერალმა, მუსიკოსმა და გართობის მომწყობმა კოლმეურნემ. ხალხით გაჭედილ კლუბში ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ თავის ოსტატობაში.

მხიარულად იდღესასწაულეს სსრ კავშირის კონსტიტუციის დამტკიცების დღე დონის-როსტოვის მშრომელებმა. დღესასწაული გრანდიოზული ბალ-მასკარადით დამთავრდა.

დღესასწაული თბილისში

საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის დღის — სტალინური კონსტიტუციის მეორე წლისთავის წინა დღეს — აყვავებული საქართველოს დედაქალაქი სადღესასწაულოდ მოიკაზმა. მოასფალტებული განიერი ქუჩები, შენობები განათებულია მრავალი სხვადასხვა ფერი შუქით. ყველგან გამოფენილია მსოფლიოში ყველაზე უფრო დემოკრატიული კონსტიტუციის შემქმნელის, საბრძნო და ბედნიერი ცხოვრების შემქმნელის — საყვარელი სტალინის პორტრეტები, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები, დიდძალი ლოზუნგი და პლაკატები.

5 დეკემბრის დილაა. კაშკაშა მზით არის განათებული მთელი ქალაქი. სადღესასწაულოდ მორთული თბილისელი მშრომელნი ავსებენ ქუჩებს. ავლაბრის არაღეგალური ბოლშევიკური სტამბის, მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის შენობის წინ თავი მოუყრია დიდძალ ექსკურსანტებს, რომელნიც ისწრაფიან გაეცნონ ისტორიულ დოკუმენტებს პროლეტარული რევოლუციის ბელადების — ლენინისა და სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

მშრომელნი ქალაქგარეთ მიდიან. მანქანებიდან მოისმის ორკესტრების გრიალი, სიმღერები სტალინის შესახებ, ბედნიერი და საამური ცხოვრების შესახებ.

ათიათასობით მშრომელნი ამ დღეს მოწვენი იყვნენ მასობრივ სასპორტო გამოსვლებისა სტადიონებზე, სასპორტო დარბაზებში, მორბენალთა მასობრივი კროსისა ქალაქში.

ათასობით ექსკურსანტები გამგზავრნენ დილიდანვე დიდი სტალინის სამშობლოში — ქალაქ გორს.

საღამოს საწარმოებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებსა და კლუბებში გაიმართა საუბრები საბჭოთა ხალხის დიად მონაპოვართა შესახებ, სტალინური კონსტიტუციის შესახებ, გაიმართა მხიარული თვითმოქმედი მხატვრული საღამოები.

გამოვიდნენ ნაციონალური გუნდები, ორკესტრები, მეჩონგურეთა ანსამბლები, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები.

ქალაქის კინოები და თეატრები ხალხით იყო გაჭედილი. აღფრთოვანებული იყვნენ მშრომელნი, რომელთაც ნახეს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატ შ. დადიანის პიესა „ნაპირწყლიდან“ და კინო-სურათები „ლენინი ოქტომბერში“, „თოფიანი კაცი“ და სხვ. რომლებიც იმ დღეს უჩვენეს.

საყვარელი სახე პროლეტარული რევოლუციის დიდი გენიოსებისა — ლენინისა და სტალინისა — აღაფრთოვანებდა მაყურებელთ სოციალისტური შრომის ახალი გმირობისათვის, დიადი სამშობლოს აყვავებისათვის საბრძოლველად.



ამხ. ლ. პ. ბერია — სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი.

ქრონიკა

ამხ. **ნ. ა. ეჟოვი,** თანახმად მისი თხოვნისა, განთავისუფლებულია შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოვალეობისაგან, წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისრად მისი დატოვებით.

სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად დამტკიცებულია ამხ. **ლ. პ. ბერია.** (საკდესი).

ტყვარჩელის მაღაროების სტახანოველების პასუხი დონბასელ მაღაროელებს

(სპეციალური ტელეგრაფით „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ტყვარჩელის მაღაროს მუშები აქტიურად გამოეხმაურნენ ვოროშილოვგრადის ოლქის სერგოვკის რაიონის კიროვის სახელობის № 22-6 და № 77 შახტების მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსი მუშაკების მომართვას ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის ყველა სტახანოველის, მუშის, მუშა-ქალის, ინჟინერ-ტექნიკოსი მუშაკებისადმი და მოსამსახურეებისადმი საქართველოს და უკრაინის მაღაროელთა შორის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ.

დონბასელი ამხანაგების წერილი ტყვარჩელის მაღაროელებმა განიხილეს სტალინური კონსტიტუციის დღეს — ხუთ დეკემბერს. ამ დღეს მაღაროს კლუბში ჩატარდა სტახანოველი მუშების, მუშა-ქალების, ინჟინერ-ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების მიტინგი, რომელზეც წაკითხულ იქნა უკრაინელი მეგობრების მომართვა. მიტინგი გადაიქცა ხალხთა სტალინური მეგობრობის ბრწყინვალე გამოხატულებად.

მეოთხე უბნის უფროსმა ამხ. მოსკალიოვმა თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა იმ დიად მონაპოვარს, რასაც ხალხთა სტალინური მეგობრობა ეწოდება, და ილაპარაკა რა დონბასელი მაღაროელების მომართვაზე, როგორც ამ დიადი მეგობრობის ბრწყინვალე დოკუმენტზე, თავისი უბნის კოლექტივის სახელით აიღო ვალდებულება გადაჭარბებით შეასრულოს დეკემბრის გეგმა მომზადებითი სამუშაოების დარგში, რაზეც ის მუშაობს უშუალოდ და რაც მთელი ხნის განმავლობაში ჩამორჩენილ დარგს წარმოადგენს.

სტახანოველმა ბრიგადირმა მზგრეველმა ამხ. ანდრეი ბესარაბმა დონბასის მაღაროელთა მომართვის საპასუხოდ დაიფიცა თავისი ბრიგადის ცვლაში გამოიღოს ორას ორმოცდაათი ტონა ქვანახშირი — ნორმის ორასი პროცენტი.

მეხუთე უბანი მთლიანად მოსამზადებელი სამუშაოების უბანია. როგორც ცნობილია, მოსამზადებელი სამუშაოები ტყვარჩელში ჩამორჩენილია. ამ უბნის უფროსმა ამხ. როგინსკიმ იკისრა ამ ჩამორჩენის გამოსწორება დეკემბერში — ორასოთხმოცდახუთი მეტრის ნაცვლად სამასოცდახუთი მეტრის მომზადება და ამ მიზნით შეჯიბრებაში გამოიწვია მეოთხე უბანი.

სტახანოველი ამხ. თეოდორე დუდნიკი შეეხო სტახანოვური მოძრაობის კიდევ უფრო ფართოდ გაშლის საკითხს და აღნიშნა რომ ამ მხრივ მაღაროში ყველაფერი რიგზე არ არის, რომ საჭიროა ამ საქმეში ფართოდ გიხელმძღვანელოთ დონბასის მაღაროელთა გამოცდილებით. მეტად შეეშველოთ ხელი მაღაროს სტახანოველებს და ფართოდ დავნერგოთ მათი გამოცდილება.

— სწორედ ასეთი მუშაობით მივაღწევთ ხელმძღვანელი ორგანოების დავალების შესრულებას მომავალი წლიდან ყოველდღიურად ათასი ტონა ქვანახშირის ამოღების შესახებ,—განაცხადა ამხ. დუდნიკმა.

სტყვეებით გამოვიდნენ აგრეთვე პროფკავშირთა საკავშირო საბჭოს კულტგანყოფილების გამგის მოადგილე ამხ. შლიანინი, სტახანოველი ბრიგადირი ამხ. მამონტოვი, პირველი მოწინავე უბნის უფროსი ამხ. ებრალიძე და სხვ.

ამის შემდეგ მიტინგმა მიიღო სპასუხო წერილი სერგოვკის რაიონის კიროვის სახელობის შახტების მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსი მუშაკებისადმი. ტყვარჩელის მაღაროელნი თავიანთს პასუხში სწერენ:

— ვღებულობთ რა თქვენს გამორვევას სოციალისტურ შეჯიბრებაში, კარგად გვაქვს შეგნებული, თუ რა პასუხისგებაა აღებული ვალდებულებები. ჩვენ კიდევ უფრო შეუპოვრად ვებრძოლებთ ქვანახშირის ამოღების გეგმის შესრულებისათვის, დაუღალავად ვიბრძოლებთ ბოლშევიზმის დაუფლებისათვის, **ლენინ-სტალინის** პარტიის გმირული ისტორიის შესწავლისათვის. დონბასის მაღაროელთა წერილი მუშავდება ცალკე ცვლებისა და ბრიგადების მიხედვით.

ჯამბულის შემოქმედებითი საღამოები მოსკოვში

საბჭოთა მწერლების კავშირი აწყობს მოსკოვში ყაზახეთის სახალხო მგოსნის, ორდენოსანი ჯამბულ ჯამაევის შემოქმედებისადმი მიძღვნილ ორ საღამოს. ჯამბულისადმი მიძღვნილი ღონისძიებით და მის ნაწარმოებთა თარგმანებით გამოვლენ შემდეგი პოეტები: ვ. ლებედევ-კუმაჩი, ს. ვასილიევი, მ. ისაკოვსკი და მ. ტარლოვსკი. პოეტი გასემ ლახუტი წაიკითხავს ფარსულ ენაზე „წერილს ჯამბულისადმი“. მთარგმნელი პ. კუზნეცოვი გააცნობს მსმენელებს სახალხო მგოსნის გამოუქვეყნებელ პოემას „ჩემს ცხოვრებას“. შემდეგ ჯამბულის დომბრის აკომპანიმენტით შეასრულებს თავის სიმღერებს, რომლებიც მან მოსკოვში ჩასვლის წინა ხანებში შეასთხზა.

ყინულმჭრელი „სედოვის“ დრეიფი

ყინულმჭრელი „სედოვის“ გემბანი, 6 დეკემბერი (საკდესის რადიოსპეცკორი). უკვე ნახევარი თვეა მას შემდეგ, რაც სხვადასხვა მიმართულებით მჭროლავ ცვალებად ქართან დაკავშირებით „სედოვი“ ტრიალებს დაახლოებით 100 კვ. მილის რაიონში. ამ უკანასკნელ დღეებში ყინულის მოძრაობას ადგილი არ ჰქონია. ტემპერატურა ძინუს 20-დან მინუს 24 გრადუსამდე იყო.

30 ნოემბერს ვაწარმოებდით ჰიდროლოგიურ გამოკვლევას. აღებულია 15 ჰორიზონტი სხვადასხვა სიღრმეზე — 2000 მეტრამდე. ვიღებთ წყლისა და ტემპერატურის სინჯებს.

1 დეკემბერს ჩვენი კოორდინატები იყო: ჩრდილოეთ განედის 85 გრადუსი 29 წუთი და აღმოსავლეთ გრძედის 124 გრადუსი. 2 დეკემბერი ღრუბლიანი დღე იყო. ქარი — 7 ბალს უდრიდა. ტემპერატურა — მინუს 17 გრადუსი იყო. დილიდანვე დაიწყო ქარბუქი.

3 დეკემბერს „სედოვის“ კოორდინატები უდრიდა ჩრდილოეთ განედის 85 გრადუსს 28,8 წუთს და აღმოსავლეთ გრძედის 126 გრადუსს და 48 წუთს.

ბელიასკოვი,

ამუშავებულია მინის გამომდნობი ღუმელი

კამიშინი (სტალინგრადის ოლქი), 3 დეკემბერი (საკდესი). გუშინ ამუშავდა შუშის ტარის ქარხნის მინის გამომდნობი საამაზანო ღუმელი. ეს ქარხანა შუშის მრეწველობის უდიდესი საწარმოა.

პირველ ვახტაზე დადგნენ ინჟინერი—პარტკომის მდივანი ამხ. კასტორნი, მეფოლადე ამხ. ვერუბოვსკი, ოპერატორის თანაშემწე ამხ. ოდნორალოვი.

10 იანვარს ქარხანა მოგვცემს პირველ პროდუქციას და ყოველწლიურად გამოუშვებს 150 ათას ქილას საკონსერვო მრეწველობისათვის.

ქარხნის სიმძლავრე 50 მილიონ ქილას უდრის წელიწადში.

გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით

(ტელეგრაფით „კომუნისტის“ რედაქციას)

ჩოხატაური, 7 დეკემბერი. ჩოხატაურის რაიონმა მანდარინის კრეფისა და დამზადების წლიური გეგმა 6 დეკემბრისათვის 110 პროცენტით შეასრულა.

დამზადება გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) ჩოხატაურის რაიკომის მდივანი

ლ. ჩხეიძიშვილი

ჭყიბული გვაძლევს 250.000 ჭონა ქვანახშირს

ტყიბული, 7 დეკემბერი (ტელეგრაფით სპეც. კორ.). დონბასის ორჯონიკიძის მაღაროების მუშათა მობართვის საპასუხოდ ტყიბულის მაღაროელებმა ახალი კონკრეტული ვალდებულებანი აიღეს. სტახანოველები ცქიფურიშვილი, გვენეტაძე, ბეშკენაძე, ქართველიშვილი და სხვები ქვანახშირის ამოღების ყოველდღიურ გეგმას 400 პროცენტით ასრულებენ.

4 დეკემბერს ტყიბულში ამოღებულ იქნა 1148 ტონა ქვანახშირი. 5 დეკემბერს—1198 ტონა.

სარეკორდო მაჩვენებლებს აღწევს ლენინის სახელობის მაღარო, სადაც დირექტორად მუშაობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ორდენოსანი გ. გორგიძე.

6 დეკემბერს გაფორმდეს დონბასელთა გამოწვევის ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოაწერა 60 სტახანოველმა და ინჟინერ-ტექნიკოსმა.

ამ დღეებში მთელმა რიგმა ბრიგადებმა წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. ტყიბულელები პირობას იძლევიან, რომ დონბასელთა გამოწვევის საპასუხოდ წლიურ გეგმას 20 დეკემბრისათვის შეასრულებენ—ქვეყანას მისცემენ 250.000 ტონა ქვანახშირს.

გეგმა შესრულებულია 104.7 პროცენტით

„საქართველოს ჩაის“ ტრესტის საბჭოთა მეურნეობებმა უკვე მოკრიფეს ცოტრუსოვანთა 7225 ათასი ნაყო

პარტიული ცხოვრება

თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანაში 3 დეკემბერს შესდგა საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის პირველი ლექცია. სურათზე: მუშა-მოსამსახურენი ისმენენ ლექციას.
ფოტო ვ. ჩერკასოვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

ლენინგრადის პარტიული აქტივის კრება

ლენინგრადი, 7 დეკემბერი (საკუთარი). 2 და 3 დეკემბერს ლენინგრადის სახელობის სასახლეში შესდგა ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება, რომელიც მიეძღვნა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ“. მოხსენების ირგვლივ გაიმართა ცოცხალი საქმიანი კამათი.

კამათში გამოვიდნენ: ამხ. ჟდანოვი, ამხ. ვასილიევი, ამხ. ვოსკობოინიკოვი, ამხ. ლებედევი, ამხ. ვოროშილოვი, ამხ. ნიკიტინი, ამხ. ნიკოლაევი, ამხ. ანდრეევი, ამხ. ალექსეევი, ამხ. ნიკოლაევი, ამხ. ანდრიანოვი, ამხ. ვოლკოვი, ამხ. ვოსკრესენსკი, ამხ. ვოლოდარსკი, ამხ. ვოლოდარსკი, ამხ. ვოლოდარ

კიევისა და თბილისის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნების შეჯიბრება

დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურეები კიევის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის კოლექტივის წერილს.

სასადილო შესვენების დროს ყველა საამქროში შესდგა მრავალრიცხოვანი მიტინგები, მიძღვნილი კიეველთა წერილის განხილვისადმი, კიეველთა, რომელთაც სოცშეჯიბრებაში გამოიწვიეს სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის კოლექტივი.

საამწყობო საამქროში მიტინგზე თავი მოიყარა 500-ზე მეტმა კაცმა.

— ხალხთა სტალინური მეგობრობა, — ამბობს ორთქლმავალთა დამშლელი ბრიგადირი ამბ. რაზმაძე,—ეს ის ძლიერი ძალაა, რომელმაც ჩვენი ქვეყანა უძლეველი, შეძლებული და ბედნიერი გახადა. საქართველოში უკრაინის კოლმეურნეთა ჩამოსვლამ უკრაინისა და საქართველოს ხალხთა ძმობისა და ერთობის ბრწყინვალე დემონსტრაციის სახე მიიღო. მე მიეცსალმები კიეველთა გამოწვევას და მთელ ძალღონეს ვიხმარ იმისათვის, რომ გავაძლიერო ჩემი ბრიგადის მუშაობა და ახალი საწარმოო წარმატებებით აღვნიშნო შეჯიბრება ჩვენსა და კიევის ქარხნებს შორის.

ვაგონ-სარემონტო საამქროში მხურვალე სიტყვით გამოვიდა სტახანოველი ამბ. ქაფიანიძე.

— საბჭოთა ხელისუფლებამ, — ამბობს იგი, — ერთხელ და სამუდამოდ მოუღლო ბოლო ერთა შორის შუღლს, რომელსაც სთესდნენ ცარიზმი, მენშევიკები, დაშნაკები და მუსავატელები, და დაამყარა ჩვენი ქვეყნის ხალხთა ნაყოფიერი თანამშრომლობა სამეურნეო, სახელმწიფოებრივი, კულტურული და საზოგადოებრივ - პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში.

გულმხურვალედ გამოეხმაურნენ კიევის ორთქლმავალ - ვაგონ-სარემონტო ქარხნის კოლექტივის წერილს ქარხნის სამმართველოს ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურეები. მიტინგზე თავი მოიყარა 150-ზე მეტმა კაცმა.

— ჩვენ, — ამბობს ინჟინერი კუპრავა,—უნდა ავამაღლოთ ხელმძღვანელობის ხარისხი, გავაძლიეროთ დაბმარების გაწევა სტახანოველებისათვის, გავამრავლოთ სტახანოველთა რიგები და უზრუნველვყოთ სახელმწიფოებრივ საწარმოო დავალებათა განხორციელება.

მრავალრიცხოვანი მიტინგები შესდგა ჩამომსხმელ, სამგზავრო, სამონტაჟო და სხვა საამქროებში.

ყველა საამქროს მუშები, ინჟინრები და ტექნიკოსები მიესალმნენ კიეველთა მომართვას და ერთხმად გამოსთქვეს მზადყოფნა მიიღონ გამოწვევა სოციალისტურ შეჯიბრებაში, მიაღწიონ ახალ საწარმოო წარმატებებს და გადააქციონ ქარხანა, რომელიც დიდი ბელადის სახელს ატარებს, რკინიგზის ტრანსპორტის სანიმუშო საწარმოდ. (საქდესი).

თათბირი მეცხოველეობის ჯიშობრივი დარაიონების საკითხებზე

7 დეკემბერს ზოოვეტინსტიტუტის კლუბში საქ. მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილის ამბ. ა. ზარნაძის თავმჯდომარეობით შესდგა მეცხოველეობის ჯიშობრივი დარაიონების საკითხისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური თათბირი, რომელიც მოწვეული იყო საქართველოს მიწსახკომის მიერ. თათბირმა, რომელსაც ესწრებოდნენ რაიმიწგანის გამგეები, ზოოტექნიკოსები, მეცხოველეობის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, ბრიგადირები, ფერმის გამგეები, სტახანოველები და მეცხიერ მუშაკები, პირველ სხდომაზე მოისმინა მიწსახკომის მეცხოველეობის სამმართველოს უფროსის ამბ. ვ. კობახიძის მოხსენება.

ამბ. კობახიძემ დაწვრილებით ილაპარაკა იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სწორ ჯიშობრივ დარაიონებას მეცხოველეობის შემდგომი კიდევ უფრო სწრაფი აღმავლობის საქმეში, ილაპარაკა აგრეთვე იმაზე, თუ რა დიდი ინტერესი გამოიწვია ადგილებზე ასრ კავშირის მიწსახკომის მეცხოველეობის სამმართველოს მიერ შედგენილი მეცხოველეობის ჯიშობრივი დარაიონების პროექტის მასობრივმა განხილვამ.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამბ. მამაიაშვილმა (წითელწყაროს რაიონის ზემო-მაჩხაანის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე), ალ. ბურდულმა (თელავის რაიმიწგანის უფროსი ზოოტექნიკოსი), ივ. დეგდარაიძემ (თელავის რაიონის ქვემო - ალვანის კოლმეურნეობა „წითელი თუშეთის“ მეცხენეობის ფერმის გამგე), შ. შარაშიძემ (წითელწყაროს რაიმიწგანის ზოოტექნიკოსი), კ. სანიკიძემ (გეგეჭკორის რაიმიწგანის ზოოტექნიკოსი), ს. ყულენტმა (მეცხოველეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი), თაქორიანმა (ახალქალაქი), ალ. ჯაფარიძემ (ზემოსვანეთის რაიმიწგანის ზოოტექნიკოსი) და დ. ჯაფარიძემ (მეცხოველეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი).

თათბირს ესწრებოდა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგე ამბ. ს. მამულოვი.

თათბირის მორიგი სხდომა შესდგება დღეს, დილის 10 საათზე.

ავტომობილი მუშაობს გათხევადებული გაზით

საავტომობილო - სატრაქტორო მრეწველობის სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტი შეუდგა პირველი ავტომანქანების გამოცდას, რომლებიც ინსტიტუტის მიერ გადაკეთებულია ისე, რომ ბენზინის მაგივრად გათხევადებული გაზით იმუშაონ. სცდიან 4 მანქანას: ერთნაბევრტონიან მანქანას „გაზ-აა“, სამბარგო სამტონიან ავტომობილს „ზის-5“, ავტობუსს „ზის-8“ და მსუბუქ მანქანას „მ-1“. ბალონები და საგზაო აპარატურა დამზადებულია საბჭოთა ქარხნებში, საავტომობილო-სატრაქტორო მრეწველობის სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის პროექტების თანახმად.

გამოცდის წინასწარი მონაცემები გვიჩვენებენ, რომ გათხევადებული გაზით ავტომანქანები ნაკლები სისწრაფით არ მოძრაობენ, ვიდრე ბენზინით მუშაობის დროს, და ამასთან რამდენიმედ უფრო მეტი რადიუსი აქვთ მოქმედებისა. მანქანის ამუშავება ადვილად ხდება.

საფრანგეთ-გერმანიის დეკლარაცია

პარიზი, 6 დეკემბერი (საკდესი). დილის 11 საათზე გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი რიბენტროპი და მისი თანმხლები პირები პარიზს ჩამოვიდნენ.

რიბენტროპს შეხვდნენ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბონე და სხვა ოფიციალური პირები. დილით რიბენტროპი ეწვია რესპუბლიკის პრეზიდენტს. ლებრენისა და რიბენტროპის საუბარი დაახლოებით 25 წუთს გაგრძელდა. შემდეგ დალადიესთან გაიმართა საუზმე, რის შემდეგაც ბონემ და რიბენტროპმა ხელი მოაწერეს საფრანგეთ-გერმანიის დეკლარაციას. ეს დეკლარაცია 3 პუნქტისაგან შესდგება. პირველი პუნქტი შეიცავს მითითებას, რომ ორივე მთავრობა ეცდება უზრუნველჰყონ „მშვიდობიანი და კეთილმეზობლური ურთიერთობა ორივე ქვეყანას შორის საყოველთაო მშვიდობიანობის დაცვის მიზნით“. მეორე პუნქტში ორივე მთავრობა აცხადებს, რომ ამჟამად მათ შორის „არ არსებობს ტერიტორიული ხასიათის არცერთი გადაუჭრელი საკითხი“ და „საჯაროდ აღიარებს“, როგორც „საბოლოოს“ იმ საზღვარს, რომელიც საფრანგეთსა და გერმანიას შორის არსებობს. მესამე პუნქტი შეიცავს ორივე ქვეყნის ვალდებულებას „შეინარჩუნონ კონტაქტი ყველა იმ საკითხზე, რომლებიც ორივე ქვეყანას აინტერესებს“ და „ეთათბირონ ერთმანეთს იმ შემთხვევაში, თუ ამათუიმ საკითხის განვითარება საერთაშორისო სიძნელეთა წარმოშობის რისკს შეჰქმნის“. მაგრამ ამ პუნქტს დართული აქვს შენიშვნა, რომელიც შეეხება დეკლარაციის მონაწილეთა „განსაკუთრებულ დამოკიდებულებას“ „მესამე სახელმწიფოებთან“.

ჩემბერლენის პასუხი თემთა პალატაში მისთვის მიცემულ შეკითხვებზე

ლონდონი, 6 დეკემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, პრემიერ მინისტრმა ჩემბერლენმა, უპასუხებდა რა თემთა პალატაში მისთვის მიცემულ შეკითხვებზე განაცხადა, რომ ძალაში შესული ინგლის-იტალიის შეთანხმება არავითარ შემთხვევაში არ არღვევს ინგლისის ვალდებულებებს საფრანგეთის მიმართ. თუმცა ტუნისი, კორსიკა და ნიცა, განაცხადა შემდეგ ჩემბერლენმა, სპეციალურად მოხსენებულნი არ არიან მოლაპარაკებაში, რომელიც წინ უძღოდა შეთანხმების დადებას, მაგრამ ეს საკითხი ამოიწურება 1936 წლის 31 დეკემბრის ნოტების გაცვლით, რაც სტატუს-კვოს შენარჩუნებას შეეხებოდა ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ ნაწილში (ეს ნოტები თან ერთვის ინგლის-იტალიის შეთანხმების ოქმებს).

შეეხო რა საფრანგეთის საწინააღმდეგო დემონსტრაციებს იტალიის „პარლამენტში“, ჩემბერლენმა განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობამ მითითება მისცა თავის ელჩს რომში გააკეთოს სათანადო წარდგინება საგარეო საქმეთა მინისტრის ჩიანოს წინაშე იმის შესახებ, რომ ამგვარ ინციდენტებს შეუძლია ცუდი გავლენა იქონიოს იმ სახელმწიფოთა თანამშრომლობის პერსპექტივებზე, რომლებიც მიუხედნენ თანამბირობდნენ.

შემდეგ ჩემბერლენმა განაცხადა, რომ ის ვერ ჰხედავს ვერავითარ მიზეზს იმისათვის, რათა შესცვალოს თავისი გადაწყვეტილება რომში გამგზავრების შესახებ.

ინგლისის „დემარში“ რომში

ლონდონი, 6 დეკემბერი (საკდესი). პრესის ცნობით, ინგლისის ელჩმა რომში ლორდ ჰერტმა გადუცხადა იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრს ჩიანოს, რომ ფაშისტ „დეპუტატთა“ მიერ 30 ნოემბერს მოწყობილი ანტიფაშისტური დემონსტრაცია იყო ინგლის - იტალიის შეთანხმების დარღვევა, თუ „ის ოფიციალურად იყო მოწყობილი“. ამაზე ჩიანომ „დამამშვიდებელი პასუხი“ მისცა.

მაგრამ საკითხი იტალიელთა მოთხოვნების დედაარსისადმი ინგლისის მთავრობის დამოკიდებულების შესახებ კვლავ ბუნდოვანი რჩება. საგულისხმოა, მაგალითად, რომ „ტაიმსი“, რომელიც ყველაზე უფრო ახლო სდგას პრემიერ-მინისტრთან, თუმცა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ინგლისის მთავრობა თანაუგრძნობს საფრანგეთს ფაშისტურ „დეპუტატთა პალატაში“ მის წინააღმდეგ მომხდარ გამოსვლებთან დაკავშირებით, მაგრამ არსებითად არ გამოსთქვამს თავის აზრს იტალიის თვით მოთხოვნათა შესახებ.

ესპანეთის ფრონტებზე

(საკდესის 5 და 6 დეკემბრის ცნობების მიხედვით)

4 და 5 დეკემბერს ფრონტებზე მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა.

ავიაციის მოქმედება

4 დეკემბერს ინტერვენტების ავიაცია ყუმბარებს უშენდა ჩივასა და ბუნიოლის (ვალენსია) სამოქალაქო მოსახლეობას, არის მსხვერპლი ქალებსა და ბავშვთა შორის.

4 დეკემბერს იტალია-გერმანიის თვითმფრინავებმა თავდასხმა მოახდინეს ბარსელონაზე, მაგრამ უკუქცეულ იქნენ რესპუბლიკელთა ავიაციის მიერ. იმავე დღეს იტალიის „სავოიას“ ტიპის 26 თვითმფრინავმა დაახლოებით 200 ყუმბარა ჩამოაგდო ვალენსიის ნავსადგურზე. დაჭრილია 17 კაცი. დანგრეულია 29 სახლი.

4 დეკემბერს ღამით უცხოელთა ჰიდროპლანებმა ყუმბარები დაუშინეს მატაროსა და კალაფელს (ბარსელონის რაიონი).

დღით 5 დეკემბერს იტალიელთა 5 თვითმფრინავი შეეცადა ყუმბარები დაეშინა ბარსელონისათვის, მაგრამ რესპუბლიკელთა ავიაგამანადგურებლებმა ხელი შეუშალეს ქალაქის ბომბარდირებას. ფაშისტთა თვითმფრინავებმა საჩქაროდ ჩამოჰყარეს ყუმბარები და გაიქცნენ. რამდენიმე ყუმბარა ბარსელონის ნავსადგურის რაიონში დაეცა და დაზიანა რამდენიმე შენობა და ინგლისის 3 სავაჭრო გემი.

იტალია-გერმანიის ავიაციამ 5 დეკემბერს დღის განმავლობაში 4-ჯერ დაუშინა ყუმბარები ბარსელონის ნავსადგურს. დღის მეორე ნახევარში გერმანელთა 11 თვითმფრინავმა 18 გამანადგურებლის თანხლებით ყუმბარები დაუშინა შემდეგ პუნქტებს: შივას, ლირიას და ალკუბლას (ვალენსიის პროვინციაში) მოკლულია 8 კაცი და დაჭრილია 29 კაცი. დანგრეულია რამდენიმე სახლი „იუნკერსის“ ტიპის 24 თვითმფრინავმა ყუმბარები დაუშინა პუსოლს, ვალენსიის ჩრდილოეთით.

როგორც ბარსელონიდან ესპანის სააგენტო გადმოგვცემს, იტალია-გერმანიის ავიაციის ბარბაროსული თავდასხმები უკანასკნელ დღეებში, როგორც სჩანს, უნდა განვიხილოთ როგორც რესპუბლიკური ესპანეთის 137 ქალაქისა და სოფლის ბომბარდირების ბანდიტური გეგმის განხორციელების დასაწყისი, რის შესახებ ამ დღეებში იტყობინებოდა ფაშისტ მეამბოხეთა რადიოსადგური.

უცხოელი მოხალისეების გაწვევა რესპუბლიკური ესპანეთის არმიაში

ჟენევა, 5 დეკემბერი (საკდესი). ერთა ლიგის სამდივნო იუწყება, რომ რესპუბლიკური ესპანეთის არმიიდან უცხოელ მოხალისეთა ევაკუაციის საერთაშორისო საკონტროლო კომისიამ დაამთავრა თავისი მუშაობა კატალონიის ზონაში. კომისია ადასტურებს, რომ ყველა უცხოელი მებრძოლი ევაკუირებულია ფრონტიდან. მათმა ნაწილმა უკვე დასტოვა ესპანეთი, დანარჩენი ნაწილები გამგზავრების მოლოდინში თავმოყრილი არიან კომისიის მიერ განსაზღვრულ პუნქტებში.

საერთაშორისო კომისია შემდგომ განაგრძობს თავის მოქმედებას ვალენსიის ზონაში.

დარანიი — უნგრეთის პარლამენტის დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე

პრაღა, 6 დეკემბერი (საკდესი). უნგრეთის პარლამენტმა 150 ხმის უმეტესობით, წინაღმდეგ 89 ხმისა, დეპუტატთა პალატის თავმჯდომარედ აირჩია ყოფილი პრემიერ-მინისტრი მთავრობის პარტიის წარმომადგენელი—დარანიი.

უნგრეთის მთავრობა ჰფიქრობს უახლოეს დღეებში წარუდგინოს განსახილველად პარლამენტს კანონი საყოველთაო სამხედრო ბეგარის შემოღების შესახებ (1920 წლის ტრიანონის ხელშეკრულების თანახმად, უნგრეთს აკრძალული აქვს საყოველთაო სამხედრო ბეგარის შემოღება). საყოველთაო სამხედრო ბეგარა ვრცელდება მამრობითი სქესის პირებზე 18-დან 60 წლამდე, ხოლო ომის შემთხვევაში—14-დან 70 წლამდე. ნამდვილი სამხედრო სამსახურის ვადა განსაზღვრულია 2 წლით, ტექნიკურ ერთეულებში კი—3 წლით. ამავე დროს კანონპროექტი ითვალისწინებს მთელი მრეწველობისა და ტრანსპორტის მობილიზაციის შესაძლებლობას ომის შემთხვევაში.

იტალიის პრესის საფრანგეთის საწინააღმდეგო კამპანია

რომი, 7 დეკემბერი (საკდესი). იტალიის ფაშისტური პრესის საფრანგეთის საწინააღმდეგო კამპანია კვლავ გრძელდება. გაზეთები ბრალს სდებენ პარიზს იმაში, რომ მან ანტიიტალიური დემონსტრაციები მოაწყო ტუნისსა და კორსიკაში. მთელი ფაშისტური პრესა სწერს, რომ ჩიანომ უარჰყო პოლის დემარში, და იგი უარჰყოფს გაზეთ „ტანის“ ცნობას იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის დამამშვიდებელი ახსნა-განმარტების შესახებ. ფაშისტური გაზეთები ამავე დროს გადაჭრით გამოდიან უცხოეთის პრესის იმ განცხადების წინააღმდეგ, რომელიც ეხება აზრთა სხვადასხვაობის არსებობას იტალიისა და გერმანიის შორის საფრანგეთისადმი მიმართული პოლიტიკის საკითხში. „ჯორნალე დ'იტალია“ უცხოეთის გაზეთების განცხადებებს „ბავშვურ“ განცხადებებს უწოდებს და ამტკიცებს, რომ გერმანია ყოველ მომენტში მზად არის გამოვიდეს იტალიასთან ერთად. „იტალია და გერმანია,—სწერს გაზეთი,— რომელთაც საერთო ამოცანები და საერთო ბედი აქვთ, ერთად მიდიან. მათ მტკიცედ გადასწყვიტეს თავისი პასუხისმგებლობის სრული შეგნებით განახორციელონ ეს მოძრაობა“.

ფაშისტური პრესის გაღაშქრება კომპარტიის დაშლისათვის ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 7 დეკემბერი (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის ფაშისტურმა პრესამ გააფთრებული კამპანია გააჩაღა კომუნისტური პარტიის დაშლისათვის. როგორც ცნობილია, ამჟამად ჩეხოსლოვაკიაში აკრძალულია კომპარტიის მხოლოდ მოქმედება. კომუნისტები კვლავ პარლამენტის, მუნიციპალიტეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების დეპუტატებად რჩებიან. „ნაციონალური ერთიანობის“ პარტიის გაზეთი „ნაროდნი ნოვინი“ ამასთან დაკავშირებით მოითხოვს კომუნისტური პარტიის არა მარტო დაუყოვნებლივ დაშლას, არამედ იმასაც, რომ მოკლებულ იქნან კომუნისტები უფლებას აქტიური მონაწილეობა მიიღონ ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციაში და მათ შორის პროფკავშირებშიაც.

ჟურნალისტთა წრეებში ჰფიქრობენ, რომ კომპარტიის დაშლა უკვე წინასწარ გადაწყვეტილია და იგი გაფორმებული იქნება მას შემდეგ, როდესაც მიიღებენ პარლამენტში კანონს საგანგებო რწმუნებათა შესახებ.

ებრაელების აბუჩად აგდება გერმანიაში

პარიზი, 5 დეკემბერი (საკდესი). როგორც საფრანგეთის პრესა იუწყება, ბერლინში შექმნილია ებრაელთა „გეტო“. ებრაელებს აკრძალული აქვთ ქალაქის მთელ რიგ ცენტრალურ ქუჩებში გამოჩენა, აკრძალული აქვთ კინო-თეატრებში, თეატრებში, მუზეუმებში, სტადიონებზე, სასპორტო მოედნებზე და სხვაგან სიარული. ებრაელებს აკრძალული აქვთ აგრეთვე ავტომანქანების მართვა.

ივალიის პრესის თავხედური ზონი

რომი, 6 დეკემბერი (საკდესი). მიუხედავად იმ წარდგინებათა, რომლებიც საფრანგეთისა და ინგლისის რომაელმა ელჩებმა გაუკეთეს იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრ ჩიანოს, იტალიის ყველა ფაშისტური გაზეთი კვლავინდებურად განაგრძობს ერთხელ აღებულ ხაზს საფრანგეთის მიმართ.

ყველა გაზეთი სავსეა სტატიებით სუეცის არხის, ჯიბუტისა და ტუნისის პრობლემების შესახებ. მრავალ სტატიაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ იტალია-საფრანგეთის 1935 წლის შეთანხმება უკვე აღარ არსებობს.

გაზეთები დაწვრილებით ასწერენ ტუნისში მცხოვრებ იტალიელთა „დევნას“. „გაზეტა დელ პოპოლო“ იკვეხნის, რომ „ამიერიდან აღარ არსებობს სუსტი იტალია, რომელსაც არ შეეძლოს ძალით წაართვას საფრანგეთს ტუნისი“.

მოსახლეობის აღრეული აღწერა

(სვანეთი, ტელეგრაფით საძ. კორესპონდენტისაგან).

მთავრობის დადგენილებით ზემო-სვანეთში, როგორც მთიან რაიონში, მოსახლეობის აღწერა ტარდება ვადაზე ადრე — 1 დეკემბრიდან 10 დეკემბრამდე. აღწერის დაწყებამდე ჩატარდა მოსამზადებელი მუშაობა; რაიონი დაყოფილია 2 სააღწერო განყოფილებად, 14 საინსტრუქტორო და 45 სააღწერო უბნად. აღწერის კადრებისათვის მოეწყო 3-დღიანი მოსამზადებელი კურსები. აგიტატორები მოსახლეობაში ატარებდნენ ფართო ახსნა-განმარტებითს მუშაობას აღწერის მნიშვნელობაზე. ზემო-სვანეთის რაიონმა მოსახლეობის აღწერის წარმატებით ჩატარების მიზნით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია წალენჯიხის რაიონი.

1 დეკემბერს, დილის 8 საათზე, დაიწყო მოსახლეობის აღწერა ისეთ შორეულ სოფლებში, როგორიცაა იდლიანი, ბედი, ზეცხო და კორგიუმდასი, რომლებიც რაიონის ცენტრს დაშორებულია 70-75 კილომეტრით და ძნელად მისასვლელ ადგილებს წარმოადგენენ.

ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის დახმარებისა და ხელმძღვანელობის გასაწევად რაიონის ყველა სასოფლო საბჭოში იმყოფებიან პარტიის რაიკომისა და რაიაღმასკომის პასუხისმგებელი მუშაკები.

გ. ქობალია

მზადება მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერისათვის

ლუქსემბურგი, 7 დეკემბერი (საქდესი). ლუქსემბურგის რაიონში შესდგა მოსახლეობის აღწერის მუშაობა თათბირი. გარდა 85 აღმწერისა, ინსტრუქტორ-კონტროლიორებისა და სააღწერო განყოფილებათა გამგეებისა, თათბირს დაესწრნენ სწარმო - დაწესებულებათა ხელმძღვანელები, სასოფლო საბჭოებისა და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, სკოლების დირექტორები და გამგეები. მოხსენებით მოსახლეობის აღწერის მნიშვნელობის შესახებ აზომაჟანულსა და რუსულ ენაზე გამოვიდნენ საქართველოს კ. პ. (ბ) ლუქსემბურგის რაიკომის მდივანი ამხ. მ. მამედოვი და რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. რაგიმოვი. კამათში გამოვიდნენ კოლმეურნეობა „ენი იოლის“ თავმჯდომარე, საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მეჰრალი ჰასანოვი და სხვები, რომლებმაც აღნიშნეს მოსახლეობის აღწერის საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი. ჯერ კიდევ არ გამოუყვიათ სადგომები საარჩევნო განყოფილებებისათვის. სუსტად მიმდინარეობს ახსნა-განმარტებითი მუშაობა სოფლად. ქობ-სამკითხველოები, კლუბები, სკოლები არ მართავენ საუბრებსა და კონსულტაციებს მოსახლეობის აღწერის ჩატარების შესახებ.

კამათში გამოვიდა სარაჩლოს საასოფლო საბჭოს თავმჯდომარე გულხანუმ სულეიმანი; მან ილაპარაკა სასოფლო საბჭოს მიერ მოსახლეობის აღწერის მომზადებისათვის გაწეულ მუშაობაზე და შეჯიბრებაში გამოიწვია ლუქსემბურგის სასოფლო საბჭო. თათბირზე გამოირკვა, რომ პროფკავშირული ორგანიზაციები მონაწილეობას არ იღებენ მოსახლეობის აღწერისათვის მზადებაში. სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაკების ადგილკომთა თავმჯდომარეებიდან მხოლოდ ერთი ამხ. ეგიაზაროვი მუშაობს აქტიურად. მას ეკუთვნის რაიონის სასოფლო საბჭოებს შორის სოცშეჯიბრების მოწყობის ინიციატივა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში

1938 წლის 3 დეკემბერს ამხ. **ვ. მ. ბაქრაძის** თავმჯდომარეობით შესდგა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სხდომა.

მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების სატრაქტორო პარკების 1939 წლის საგაზაფხულო თესვის საშუალებისთვის დროზე და მაღალხარისხოვნად მზადების მიზნით სახკომსაბჭომ დაამტკიცა საქართველოს სსრ მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ტრაქტორების საშემოდგომო-საზამთრო რემონტის 1938 წ. და 1939 წ. გეგმა შემდეგი რაოდენობით: კაპიტალურად შეკეთდეს მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების 569 ტრაქტორი და მიმდინარე რემონტი გაიაროს მოტორის სრული დაშლით — 1038 ტრაქტორმა.

სახკომსაბჭომ წინადადება მისცა საქართველოს სსრ მიწსახკომს და საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების გაერთიანებებს სამი დღის ვადაში დაეწესოს და დაიყვანოს ტრაქტორების მიმდინარე რემონტის გეგმა მოტორების ნაწილობრივი დაშლით ცალკეული მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მიხედვით.

სახკომსაბჭომ დაიწესა საქართველოს სსრ-ში ტრაქტორების კაპიტალური და მიმდინარე რემონტის დაწყების ვადა — 1939 წლის 20 თებერვალი.

სახკომსაბჭომ დაავალა საქართველოს სსრ მიწსახკომს, კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს და საბჭოთა მეურნეობების გაერთიანებებს ორი დღის ვადაში ცალკეულ მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებამდე დაიყვანონ ტრაქტორების რემონტის გეგმა და დეკადის ვადაში დაიწესონ თვითეული მტს-ისა და საბჭოთა მეურნეობისათვის რემონტიდან ტრაქტორის გამოშვების გრაფიკი ტრაქტორების მარკებისა და შეკეთების სახის მიხედვით, დაიწესონ სასტიკი კონტროლი ტრაქტორების შეკეთების ხარისხზე მანქანა-ტრაქტორების სახელოსნოებში სპეციალური ინსპექტორების გაგზავნის გზით.

სახკომსაბჭომ დაავალა აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების სახკომსაბჭოების თავმჯდომარეებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცაკ-ის თავმჯდომარეს, რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს და ყველა მტს-ების და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს შეადგინონ ტრაქტორების შეკეთების კალენდარული გეგმები თვითეული შემკეთებელი ბრიგადისა და მთლიანად მტს-ების მიხედვით; სისტემატურად გაუწიონ კონტროლი ტრაქტორების რემონტის ხარისხს, აწარმოონ რემონტიდან გამოსული ტრაქტორების მიღება ინსტრუქციისა და შეკეთებული ტრაქტორების მიღების წესების ზუსტად შეხაბამისად, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მიწსახკომის მიერ, და ტრაქტორების ცუდი ხარისხით შეკეთებაში დამნაშავენი მისცენ პასუხისგებაში.

სახკომსაბჭომ დაავალა საქართველოს სსრ მიწსახკომს, კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს და საბჭოთა მეურნეობების გაერთიანებებს 1939 წლის 1 აპრილისათვის ჩაატარონ მთელი სატრაქტორო პარკის პასპორტიზაცია. ტრაქტორის პასპორტში ყველა ჩატარებული რემონტის სავალდებულო შეტანით.

სახკომსაბჭომ გააფრთხილა აფხაზეთისა და აჭარის სახკომსაბჭოების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცაკის თავმჯდომარეები და რაიაღმასკომების თავმჯდომარეები, რომ ისინი მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებთან ერთად პასუხს აგებენ მანქანა-ტრაქტორების პარკის შეკეთების მიმდინარეობისათვის.

○

სახკომსაბჭომ განიხილა საკითხი თივისა და ჩალის დამზადების გეგმის შესრულების შესახებ და აღნიშნა თივისა და ჩალის დამზადების დაწესებული გეგმის შესრულების არადამაკმაყოფილებელი მიმდინარეობა ბორჩალოს, თბილისის, ახალქალაქის, ბაშკიჩეთის, ახმეტისა, ბორჯომის, გურჯაანისა და წალკის რაიონებში.

სახკომსაბჭომ დაავალა სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მოადგილეს საქართველოში — ამხ. კეცხოველს, საქ. თივის დამზადებას — ამხ. კუროიანს, საქ. ხორცეტსტს — ამხ. ავეტისოვს და რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს დაუყოვნებლივ ჩაატარონ საჭირო ორგანიზაციული და პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ თივისა და ჩალის დამზადების დაწესებული გეგმის შესრულებას ა. წ. 20 დეკემბრამდე.

სახკომსაბჭომ დაამტკიცა საქართველოს სსრ-ში 1938-1939 წლებისათვის თივის დეცენტრალიზებული დამზადების გეგმა 3660 ტონის რაოდენობით, ჩალისა — 1470 ტონის რაოდენობით, და გაანაწილა იგი შემდეგ ორგანიზაციებზე: ჯიშდამზადების კანტორა — 300 ტონა თივა და 30 ტონა ჩალა, საქხორცტრესტი — 3360 ტონა თივა და 1440 ტონა ჩალა.

○

სახკომსაბჭომ მოისმინა ცნობა სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა საქართველოში — წულუკიძის რაიონში ხორცის დამზადებაში კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული მეურნეების ჩაბმის სისწორის შემოწმების შედეგების შესახებ.

საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მიერ წულუკიძის რაიონში ჩატარებულმა შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ხორცის დარგში ვალდებულებათა ჩაბარება ჩატარებულია არსებულ ინსტრუქციასთან შეუფარდებლად და როგორც კოლმეურნეების, ისე, განსაკუთრებით, ერთპიროვნული მეურნეების მეურნეობათა დიდი რაოდენობა, უკანონოდ არის განთავისუფლებული ხორცის ჩაბარებისაგან.

რაიონის აღმასრულებელმა კომიტეტმა თავისი 1938 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებით, განიხილა რა მასალა, წარდგენილი დამზადებათა სახალხო კომისარიატის წულუკიძის რაირწმუნებულის მიერ, მასალის ზუსტი შემოწმების გარეშე დაამტკიცა ამ მეურნეობათა განთავისუფლება და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს წინაშე აღძრა შუამდგომლობა ხორცის დამზადებისაგან ერთპიროვნული მეურნეებისა და კოლმეურნეების არაკანონიერი განთავისუფლების დადასტურების შესახებ.

ხორცის დამზადების ინსტრუქციების დარღვევისათვის ხორცის დამზადებისაგან კოლმეურნეებისა და განსაკუთრებით ერთპიროვნული მეურნეების უკანონო განთავისუფლებისათვის საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს წულუკიძის რაიონში ამხ. ჩომახიძეს გამოუცხადა სასტიკი საყვედური გაფრთხილებით, ხოლო ხორცის დამზადებისაგან ერთპიროვნული მეურნეებისა და კოლმეურნეების მეურნეობათა უკანონო განთავისუფლების შესახებ არასწორი გადაწყვეტილების მიღებისათვის და დამზადებათა სახალხო კომისარიატის რაირწმუნებულის მუშაობის არასაკმაო კონტროლისათვის წულუკიძის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. რუხაძეს გამოუცხადა საყვედური და გააუქმა წულუკიძის რაიონალმასკომის ა. წ. 25 ნოემბრის გადაწყვეტილება, როგორც არასწორი.

სახკომსაბჭომ დაავალა წულუკიძის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. რუხაძეს და დამზადებათა სახალხო კომისარიატის რაირწმუნებულს ამხ. ჩომახიძეს დაუყოვნებლივ გამოასწორონ დაშვებული შეცდომები.

○

სახკომსაბჭომ განიხილა საკითხი სასკოლო ბუფეტების შესახებ.

სკოლებში ბავშვთა კვების რადიკალურად გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ წინადადება მისცა საზოგადოებრივი კვების თბილისის ტრესტს 1939 წლის 1 იანვრიდან საზოგადოებრივი კვების ტრესტის სისტემაში მიიღოს ქალაქ თბილისის ყველაზე დიდი სკოლების 30 ბუფეტი, იმავე დროს მომზადოს ყველა საჭირო პირობები და ახალი სასწავლო წლიდან ქალაქ თბილისის ყველა სასკოლო ბ

ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ!